საქართველო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

N 49 19

08/01/2019

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 85^3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" და ,,თ" ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" პირველი მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახელებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისაგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში.

3. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18 საათამდე, 2019 წლის 22 იანვრის ჩათვლით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ((ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ:

ა) თენგიზ ჭიპაშვილი, მობილურის ნომერი: 59536 93 58;

ბ) ზურაბ ბარბაქაძე, მობილურის ნომერი: 59364 97 64;

გ) მზექალა გლუნჩაძე, მობილურის ნომერი: 599 22 57 13;

დ) გრიგოლ სებისკვერაძე, მობილურის ნომერი: 577 11 00 58;

ე) ბერიკა ტალახაძე, მობილურის ნომერი: 595 45 75 32;

ვ) გია ჩხიკვაძე, მობილურის ნომერი: 595 45 73 85;

ზ) კახაბერ კვინიკაძე, მობილურის ნომერი: 595 45 47 61;

თ) გელა მაღრაძე, მობილურის ნომერი: 568 86 80 86;

ი) სპარტაკ ლაცაბიძე, მობილურის ნომერი: 568 11 70 58:

კ) ზურაბ შუბითიძე, მობილურის ნომერი: 595 22 13 09;

ლ) ჯემალ კალანდაძე, მობილურის ნომერი: 577 95 39 10;

მ) პაატა ფრცქიალაძე, მობილურის ნომერი: 599 28 22 17;

ნ) კონსტანტინე ხარაძე, მობილურის ნომერი: 591 98 06 05;

ო) გურამ კურტანიძე, მობილურის ნომერი: 579 11 05 87;

პ) ირმა ჭყოიძე, მობილურის ნომერი: 555 53 49 00;

ჟ) რევაზ სხილაძე, მობილურის ნომერი: 595 19 73 29;

რ) გელა კოპაძე, მობილურის ნომერი: 595 45 76 83;

ს) კონსტანტინე ბერაძე, მობილურის ნომერი: 577 11 64 16;

ტ) კახაბერ ლომიძე, მობილურის ნომერი: 557 29 49 44.

უ) თემური თაბუკაშვილი, მობილურის ნომერი: 555 78 54 54;

ფ) პეტრე შარიქაძე, მობილურის ნომერი: 599 85 26 43.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 180-ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოში (მის: დ. ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. N 48).

ნიკოლოზ თოფურიძე

მუნიციპალიტეტის მერი